საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 30 ივლისის
დადგენილება № 300

დოქტორორანტების სამეცნიერო თანახელმძღვანელის დანიშვნისა და
სადისერტაციო თემის შეცვლის შესახებ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულების 5.6. პუნქტის თანახმად, დაენიშნოთ თანახელმძღვანელები შემდეგ დოქტორანტებს:

სამშენებლო ფაკულტეტი

1.იუზა ცარციძე, II კურსი, სადოქტორო პროგრამა _ ჰიდროინჟინერია. სადისერტაციო თემა: ”ჩიხისებრი წყალსატარის ზონირების ოპტიმალური პარამეტრების დადგენა წრფივი მთელრიცხვა პროგრამირების აპარატის გამოყენებით”_ ხელმძღვანელი სრ. პროფ. ლ.კლიმიაშვილი, დაემატოს თანახელმძღვანელი სრ. პროფ. გ.სოსელია (მიმართულების ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე).

2. ნიკოლოზ ლაფაჩი, II კურსი, სადოქტორო პროგრამა _ ჰიდროინჟინერია. სადისერტაციო თემა: ”წყლის მიწოდებისა და განაწილების სისტემების საიმედოობის ამაღლების სისტემური მიდგომა” _ ხელმძღვანელი სრ. პროფ. ლ.კლიმიაშვილი, დაემატოს თანახელმძღვანელი სრ. პროფ. ნ.ნაცვლიშვილი (მიმართულების ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე).

3. ირაკლი მიხელაშვილი, III კურსი, სადოქტორო პროგრამა _ ჰიდროინჟინერია. სადისერტაციო თემა: ”ბუნებრივი წყლების დამუშავების ტექნოლოგიური პარამეტრების დადგენის მეთოდოლოგია” _ ხელმძღვანელი პროფ. ლ. კლიმიაშვილი, დაემატოს თანახელმძღვანელი, სამშენებლო ფაკულტეტის სრული პროფესორი გ. სოსელია (მიმართულების ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათი).

4. გიორგი ქორქია, I კურსი,სადოქტორო პროგრამა _ სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. სადისერტაციო თემა: "წინასწარდაძაბული ლითონების ღეროების მდგრადობის და სეისმომედეგობის ამაღლების ხერხები". ხელმძღვანელი: პროფ. ი.მშვენიერაძე, დაემატოს თანახელმძღვანელი, კ.ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ტ.მ.დ., პროფ. გ.გაბრიჩიძე. (ინსტიტუტებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე).

5. ნინო ნიკოლაშვილი, I კურსი, სადოქტორო პროგრამა _ სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა. სადისერტაციო თემა: "ვენახების სეტყვასაწინააღმდეგო გადახურვების ბადისებრი კონსტრუქციების გაანგარიშება ქარის დატვირთვის ნორმების ახალი რედაქციის გათვალისწინებით". ხელმძღვანელი პროფ. მ.წიქარიშვილი, დაემატოს თანახელმძღვანელი, კ.ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორი ტ.მ.დ., პ. რეკვავა. (ინსტიტუტებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე).

6. ირაკლი გიორგაძე, II კურსი, სადოქტორო პროგრამა _ სამშენებლო მექანიკა. სადისერტაციო თემა: "მაღალი სიმტკიცის ბეტონების მექანიკურ მახასიათებლებზე დეფორმაციის სიჩქარის გავლენა". ხელმძღვანელი პროფ. რ. ცხვედაძე, დაემატოს თანახელმძღვანელი, კ. ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ტ.მ.დ., პროფ. ა.საყვარელიძე (ინსტიტუტებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე).

7. ლევან ლოლაძე, II კურსი, სადოქტორო პროგრამა სამშენებლო მექანიკა სადისერტაციო თემა: "ბეტონის ნამზადის მახასიათებლების დადგენა ღუნვითი და მგრეხი ძალების ზემოქმედებისას" . ხელმძღვანელი პროფ. რ.ცხვედაძე, დაემატოს თანახელმძღვანელი, კ.ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ტ.მ.დ., პროფ. ა.საყვარელიძე (ინსტიტუტებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე).

8. ანი ტაბატაძე, II კურსი, სადოქტორო პროგრამა _ სამშენებლო მექანიკა, სადისერტაციო თემა "მიწისძვრისას კარკასული შენობების სვეტებში დარტყმის ეფექტის გათვალისწინება". ხელმძღვანელი თ.ბაციკაძე, დაემატოს თანახელმძღვა-

ნელი, კ.ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე ტ.მ.დ., პროფ. მ.ყალიბეგაშვილი (ინსტიტუტებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე.

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

9. მიხეილ დოლიძე, II კურსი, სადოქტორო პროგრამა _ მანქანათმცოდნეობა და მანქანათმშენებლობა. სადისერტაციო თემა: "სექციური აგების პოლიგრაფიული მანქანების რეგულირებადი ელექტრომექანიკური ამძრავების მოდელების შემუშავება და დინამიკური სინთეზი", ხელმძღვანელი სრ.პროფ. ვ.გოგილაშვილი, დაემატოს თანახელმძღვანელი სრ.პროფ. თ.მჭედლიშვილი.

დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულების 6.13 პუნქტის თანახმად შეეცვალოთ სადისერტაციო თემის დასახელება შემდეგ დოქტორანტებს:

სამშენებლო ფაკულტეტი

1. ლელა სამხარაძე, II კურსი, სადოქტორო პროგრამა _ სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა. სადისერტაციო თემის დასახელება "ბეტონის თვისებების გაუმჯობესება პლასტიფიკატორის გამოყენებით" შეეცვალოს ახალი დასახელებით "დაბალსართულიან მონოლითურ შენობათა აგება ქიმიური დანამატებით დამზადებული ბეტონის გამოყენებით", ხელმძღვანელები: სრ.პროფ. თ.ჟორდანია, სრ.პროფ. ა.ნადირაძე,

2. ირაკლი ურუშაძე, II კურსი, სადოქტორო პროგრამა _ სამშენებლო მექანიკა. სადისერტაციო თემის დასახელება „სამშენებლო მექანიკის თეორიის განვითარების

ისტორია”, შეეცვალოს ახალი დასახელებით: ”გრეხითი დეფორმაციების გავლენა კარკასული შენობების სეისმომედეგობაზე”. ხელმძღვანელი სრ.პროფ თ.ბაციკაძე.

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

3. ბესიკ მენაბდიშვილი, III კურსი, სადოქტორო პროგრამა _ სამთო ტექნოლოგიები, სადისერტაციო თემის დასახელება „მადნეულის საბადოს სპილენძის მიხედვით მადნების გამდიდრების ტექნოლოგიის შემუშავება”, შეეცვალოს ახალი დასახელებით: „მადნეულის საბადოს სპილენძის შერეული მადნების გამდიდრების ტექნოლოგიის შემუშავება” ხელმძღვანელი სრ.პროფ. ა.აბშილავა.

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

4. მანანა სუხიტაშვილი, III კურსი,სადოქტორო პროგრამა _ ურბანული დაგეგმარება. სადისერტაციო თემის დასახელება „საქართველოს საკურორტო ქალაქების, დასვენებისა და ტურისტული ცენტრების არქიტექტურულ-დაგეგმარებითი ორგანიზაცია საქართველოს ბუნებრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით”, შეეცვალოს ახალი დასახელებით: „ზემო სვანეთის მასობრივი დასვენებისა და ტურიზმის ქალაქგეგმარებითი ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების გამოვლენა.” ხელმძღვანელი სრ.პროფ. გ.ბერიძე.

5. ნინო ჩხეიძე, III კურსი, სადოქტორო პროგრამა _ ურბანული დაგეგმარება. სადისერტაციო თემის დასახელება ”თბილისის აგლომერაციის ფორმირებათა გამოვლენა მოსახლეობის მობილურობასთან დაკავშირებით”, შეეცვალოს ახალი დასახელებით: “საქართველოს განსახლების სისტემის განვითარების ტენდენციების დამუშავება”. ხელმძღვანელი სრ.პროფ. ო.ნახუცრიშვილი.

6. ირაკლი მურღულია, III კურსი, სადოქტორო პროგრამა _ ურბანული დაგეგმარება. სადისერტაციო თემის დასახელება „თბილისის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფის არქიტექტურულ-გეგმარებითი ორგანიზაცია”, შეეცვალოს ახალი

დასახელებით: „თბილისის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფის ურბანული გადაწყვეტები”, ხელმძღვანელი სრ.პროფ. ო.ნახუცრშვილი.

7. გია როყვა, III კურსი, სადოქტორო პროგრამა _ არქიტექტორული გეგმარების საფუძვლები. სადისერტაციო თემის დასახელება „არქიტექტორული (მხატვრული) მინის გამოყენების საკითხი შენობათა ინტერიერის მხატვრულ-არქიტექტორული სტრუქტურის ორგანიზებაში”, შეეცვალოს ახალი დასახელებით: „მინის ფორმაწარმომქმნელი როლი არქიტექტურაში (ტრადიცია და ახალი ტენდენციები)”. ხელმძღვანელი სრ.პროფ.ზ.კიკნაძე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე